ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ათონელის ქუჩა №27



თბილისი
2019, აპრილი

ათონელის ქ. №27, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ათონელისა და ორბელიანის ქუჩათა კვეთაზე მდებარეობს განსახილველი ტერიტორია ისტორიული თბილისის ცენტრალური ნაწილის, ყოფილი ე.წ. "გარეთუბნის" ფარგლებშია მოქცეული. არსებითად, ეს ადგილი რუსთაველის (გოლოვინსკის) მიმდებარეა, და პროსპექტსა და სანაპიროს შორის მაკავშირებელ ქუჩათა სისტემაშია მოქცეული.



XIXს-ის 60-იანი წლებიდან, როდესაც რუსთაველის პროსპექტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ქალაქის საადმინისტრაციო, ფინანსური და საზოგადოებრივი ცენტრი, აქ მდებარე ქარვასლებს, სასახლეებს და ციხე-სიმაგრის ნაშთებს ემატება ახალი მდიდრული მაღაზიები, კერძო სახლები ხოლო XXს. დასაწყისისათვის შენდება ბანკები, თეატრები და კინო-თეატრები.

პროსპექტის ძველი, ტიპიური თბილისური ორსართულიანი განაშენიანება 50-60 წლების შემდგომ, იცვლება უფრო დიდი, 3-4 სართულიანი "ევროპული" შემოსავლიანი სახლებით, რომლებსაც აშენებენ ზუბალაშვილები, სარაჯიშვილები, მელიქ ყაზარიანცი და სხვ.

აქვე, ქალაქის ფეშენებელურ კვარტალში, შენდება უმთავრესი ევროპულად გამართული სასტუმროები "ორიენტი", "ჩრდილოეთის ნომრები", "მაჟესტიკი" და სხვ.

XIX საუკუნის დასაწყისში ამ ტერიტორიაზე არსებობდა სტიქიური განაშენიანება, რაზეც მიუთითებს მთავარმართებელ ტორმასოვის მიერ

შედგენილი 1810 წლის საბუთი გარეთუბანში უგეგმო და უკონტროლო მშენებლობების აკრძალვის შესახებ. 1809 წლის თბილისის გეგმაზე ჩანს დაპროექტებული რეგულარული ქუჩების ქსელი, რომელთა შორის რუსთაველის გამზირიც იკვეთება. დაიწყო ინტენსიური მშენებლობა: აშენდა სამხედრო უწყების შენობები და სამთავრობო დაწესებულებები. საუკუნის პირველ ათეულ წლებშივე გარეთუბანი იქცა არისტოკრატიის საცხოვრებელ უბნად. ქართველი თავადაზნაურობის ნაწილმა ალღო აუღო ახალ დროს და მათ იწყეს სახლების მშენებლობა საკუთარ მამულებში. ტრადიციულად, ქალაქის ზღუდის გარეთ არსებული ბაღები სამეფო ოჯახისა და თავადაზნაურთა საკუთრებას წარმოადგენდა. XIX ს-ის დასაწყისიდან, რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მათი მამულების ნაწილი საკმაოდ იაფად შეიძინა ამ დროისათვის თბილისში მომრავლებულმა არაქართველმა მოსახლეობამ.



1820-იანი წლებიდან მოყოლებული ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, სადაც დიდი ბაზრობა იმართებოდა, აშენდა რამდენიმე ხუროთმოძღვრული ორიენტირი: კორპუსის შტაბი (1824 წ.), პოლიციის შენობა (ახლანდელი მერიის ადგილზე). რამაც განსაზღვრა მოედნის კონფიგურაცია და ქალაქის მთავარი ქუჩის, დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის, მიმართულება.

1833-35 წლებში ქალაქის მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შემუშავდა გარეთუბნის განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვითაც გოლოვინის პროსპექტი ამ განაშენიანების მთავარ ღერძად იქცა. 1840-იანი წლებიდან დაიწყო განაშენიანების სწრაფი განვითარება და პროსპექტის კეთილმოწყობა.



1831 წლის და 1844 წლის გეგმებზე კარგად ჩანს თუ როგორ ვითარდება ქუჩების ქსელი. აქვე ჩანს ასევე, თუ თანდათან რა ნაგებობები ჩნდება ამ ქუჩებზე. საპროექტო ტერიტორია ოდნავ სცდება 1831 წლის გეგმაზე დატანილი ტერიტორიის ფარგლებს, მაგრამ მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ქალაქის ამ ნაწილის განვითარებაზე. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ ჩანს ქუჩების ქსელი - ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი. ვხვდება მხოლოდ ცალკეული შენობები, რომელთა შორის არავითარი გააზრებული კავშირი არ არსებობს. 1831 წლის გეგმაზე ძველი ჰოსპიტალის მართკუთხა შენობის (№3) ზევით (ჩრდილო-დასავლეთით) კარგად ჩანს ბაღი, რომელიც 1844 წლის გეგმაზეცაა შენარჩუნებული. ასევე უცვლელადაა გადასული 1844 წლის გეგმაზე ზემოაღნიშნული შენობის აღმოსავლეთ მხარეს განთავსებული ორი შენობა, რომლებიც უკვე 1867 წლის გეგმაზე აღარ ჩანს. უწინდელი ასპარეზის (შემდგომში ალექსანდრეს ბაღის) ტერიტორია გაუნაშენებელია – ის სამხედრო აღლუმებისათვის განკუთვნილ პლაცს უჭირავს.

1844 წლის გეგმაზე ჩანს საინჟინრო სამმართველოს შენობა (№49), მესანგრეთა ბატალიონის ყაზარმა (№71), კავკასიის სამხედრო ოლქის საარტილერიო ჯარების მეთაურის სამმართველოსა და შტაბის შენობა (№57); გოლოვინის პროსპექტის განაშენიანება ჯერ კიდევ საკმაოდ ამორფულია. უკვე გამოკვეთილია მესანგრეთა (№19, Сапёрная დღეს თაბუკაშვილის) ქუჩის მიმართულება. ყალიბდება ბარიატინსკის ქუჩა (№22, დღეს გ. ჭანტურიას ქ.), გამოკვეთილია ინჟინრის, დღეს

ვირსალაძის (ასევე №22) ქუჩა. ჩანს ლაბორატორიის (№21) ქუჩა – შემდგომში მესანგრეთა შესახვევი (Сапёрный пер.) დღევანდელი ბროსეს ქუჩის ნაწილი, მტკვარზე ჩანს დროებითი, ე.წ. ინჟინრის ხიდი.



ყოფ. მადათოვის, ამჯერად ათონელის ქუჩასა და სანაპიროს შორის, რამდენიმე ღირებული ისტორიული ნაგებობა მდებარეობს. მათ შორის მშრალი ხიდის დასაწყისში მდებარე სასტუმრო „ლონდონის“ შენობა, რომლის სადარბაზოს ინტერიერი ერთ-ერთი საუკეთესოა ძველი ქალაქის მასშტაბით.






მტკვირს მარცხენა სანაპირო რელიეფის მატებასთან ერთად, მონუმენტურობას იძენს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია თაბუკაშვილის ქუჩის

ე.წ. უკანა ფასადი, რომელიც აგურის დამცავ კედლებზე აღმართულ სამოთხსართულიანი აგურისავე სახლებით არის გაფორმებული.





ათონელის ქ. №27 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, გარეთუბნის განაშენიანების ერთ-ერთი ორგანული შემადგენელია და თავისი იერსახითა და არქიტექტურული ღირებულებით სწორედ XIX ს-ის II ნახევრის თბილისის ბურჟუაზიის საცხოვრებელს წარმოადგენს.





სამსართულიანი შენობის წარმოსადეგი იერსახე მდიდრად დეკორირებული ფასადის ელემენტებით და ღიობების რიტმული დანაწევრებით იქმნება. შენობის ცენტრალური ღერძი ხაზგასმულია პირველ სართულზე თაღოვანი ღიობითა და პარაპეტის ნაწილში განთავსებული ასევე მორკალული ფრონტონით.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პირველი სართულის ღიობების რიტმი არათანაბარია, განიერ ფორმებს ვიწრო ენაცვლება. ამ სართულის დანიშნულება იმთავითვე კომერციული ხასიათისა უნდა ყოფილიყო, რაზედაც მიგვანიშნებს შიდა სივრცის დაგეგმარება და განიერი ვიტრინები.

ზედა სართულებზე შიდა სივრცეში განთავსებული ლითონის კიბით ვხვდებით, რომლის მოაჯირები განსაკუთრებული სინატიფით ხასიათდება, თუმცა, კიბის შემავსებელი მარმარილოს ნატეხებისაგან შემდგარი საფეხურები ძლიერ არის დაზიანებული და არ შეესაბამება ლითონის კიბის გამჭვირვალე, მსუბუქ არქიტექტონიკას.





შენობაში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საჯარო სკოლა ფუნქციონირებდა, რამაც მძიმე კვალი დააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, კერძოდ; საკლასო ოთახებად გადატიხრული დარბაზები შეუსაბამო პროპორციის გახდა. აუთენტური მორკალული ღიობები ბევრგან ამოშენდა, ხოლო ეზოსკენ მიმართული ხის შუშაბანდები მთლიანად შეიცვალა შეუსაბამო მასალისა და ფორმის შუშაბანდებით.





ძეგლის შიდა სივრცის მდგომარეობა სავალალოა – ოთახებში ჩამოშლილია გადახურვის კონსტრუქცია, აყრილია იატაკები, თუმცა იქ, სადაც

დროებითი ტიხრები მოიხსნა, გამოჩნდა ერთიანი, დიდი პარადული სივრცეები, რომლებიც მორკალულთავსართიანი ღიობების რიტმით ჭარბად ნათდება.






ეზოს სივრცეში კარგად აღიქმება ძეგლის რუსული П-ს ფორმის სტრუქტურა, რომელიც გახსნილია მტკვრის სანაპიროს მხარეს, სადაც მოცულობით არქიტექტურას შედარებით დაბალი, უსახური განაშენიანება ერწყმის.




ათონელის ქ. №27 მიმდებარე მიწის ნაკვეთი მტკვრისკენ მიმართული განაშენიანების ნაწილია და მართალია იგივე საკადასტრო ნომრით აღინიშნება, მაგრამ ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება ამ შენობებს არ გააჩნიათ.





როგორც აღინიშნა, საკვლევი ტერიტორია სანაპიროსა და ათონელის ქუჩებს შორის მდებარეობს. განსახილველი ტერიტორია ისტორიული თბილისის ცენტრალური ნაწილის, ყოფილი ე.წ. "გარეთუბნის" ფარგლებშია მოქცეული. არსებითად, ეს ადგილი რუსთაველის (გოლოვინსკის) მიმდებარეა, და პროსპექტსა და სანაპიროს შორის მაკავშირებელ ქუჩათა სისტემაშია მოქცეული.



საარქივო ფოტოზე, როგორც ჩანს, ყოფილი ორბელიანების ციხე-სიმაგრის ადგილას, მტკვრის მარჯვენა ტოტის ნაპირზე უკვე საცხოვრებელი სახლებია აგებული და საკვლევ ტერიტორიაზე ორი სამსართულიანი სახლი დგას ციხე-გალავნის ყოფილ კედელზე. XX ს-ის დასაწყისისთვის დასრულდა ამ უბნის ურბანული განვითარების ეტაპი. ეს ვითარება XX ს-ის 50-იან წლებამდე თითქმის შეუცვლელი იყო, სანამ არ მოხდა სანაპიროების ტრანსფორმაცია საბჭოთა პერიოდში.

დღევანდელი მდგომარეობით ორბელიანის უბნის ამ ნაწილმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა XX ს-ის განმავლობაში. აქ არსებული ბანური და შემდგომ ქანობიან-გადახურვიანი საცხოვრებლები სასტუმროს კომპლექსმა ჩაანაცვლა, რომელიც მთლიანობაში მისდევს ძველი ქალაქის და კონკრეტულად ამ მიკროუბნის მხატვრულ-არქიტექტურულ გადაწყვეტის პრინციპებს, თუმცა ბევრად აღემატება ძველი განაშენიანების მასშტაბს. განსაკუთრებით გამოიკვეთა პრეზიდენტის ახლანდელი რეზიდენციის თანამედროვე კორპუსის მსხვილი, საკმარისად მკაცრი კუბური მოცულობა.





დასკვნა-რეკომენდაცია

ათონელის ქუჩა №27-ის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტი უნდა დაექვემდებაროს კანონს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. შესაბამისად, ძეგლის აუთენტურ, ღირებულ არქიტექტურულ ნაწილზე უნდა განხორციელდეს რესტავრაცია-ადაპტაციის ქმედებები, კერძოდ:

- შენობის საფასადე არქიტექტურული კაზმულობის რეაბილიტაცია უნდა მოხდეს კონსერვაცია-რესტავრაციის მეთოდოლოგიის მიხედვით, შესაბამისი პროფილის რესტავრატორების ჩართვით;
- შენობის დაზიანებული შიდა სივრცის ხელახალი გადაგეგმარება, დროებითი ტიხრების მოხსნა, გადანაცვლება და მზიდი კედლების რეკონსტრუქცია – მასში სასტუმროს განთავსების მიზნით, უნდა მოხდეს კონსტრუქციული დასკვნის საფუძველზე;
- ძეგლის მაღალი სხვენის ტრანსფორმაცია ექსპლუატირებადი ფართის მიღების მიზნით შესაძლებლად მიმაჩნია პარაპეტიდან შეწევით, ისტორიულ უბანთან შესაბამისი სახურავისა და ღიობების ფორმით;
- რეკონსტრუქციის პროცესში სასურველია გამოვლინდეს არსებული ღიობების მორკალული თავსართების ფორმა, ღიობებში დატანილი შეუსაბამო ალათები გამოსაცვლელია მაღალი ხარისხის ხის ან მეტალის კარ-ფანჯრით;
- ძეგლის შიდა სივრცეში შემონახული სხმული ლითონის კიბე შესაძლებელია ჩამოიხსნას ვიწრო კიბის უჯრედიდან და განთავსდეს უფრო თვალსაჩინოდ პარადულ სივრცეში. ამასთან, კიბიდან მოსახსნელია ცემენტის საფეხურები და გამოსავლენია ჭვირული ელემენტების თავდაპირველი ნახატი;
- ჩამოსახსნელია ეზოს მხარეს მიმართული შეუსაბამო შუშაბანდები, რომელიც სასურველია შეიცვალოს ძეგლის არქიტექტურასთან შესაბამისი რიტმიკისა და იერსახის შუშაბანდით;
- ღია ეზოს სივრცე მაქსიმალურად გამოსათავისუფლებელია შეუსაბამო ჩაშენება-მიშენებებისაგან;
- სანაპიროს მხარეს მიმართული მიწის ნაკვეთის ფარგლებში არსებული შენობები არ წარმოადგენს კულტურულ მემკვიდრეობას,

შესაბამისად მათი ჩანაცვლება და მათ ნაცვლად სანაპიროს ისტორიული განაშენიანების შესაბამისი მასშტაბის მოცულობის (მოცულობების) დასმა შესაძლებლად მიმაჩნია;

- სამსართულიანი ძეგლის შენობასა და სანაპიროს განაშენიანებულ ზოლს შორის არსებული მიწის ნაკვეთი შესაძლებელია შეივსოს შედარებით მაღალი ნაგებობით, რომელიც გარდამავალ მასშტაბს შექმნის ისტორიულ განაშენიანებასა და ირგვლივ არსებულ თანამედროვე მოცულობებს შორის. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ახალ მოცულობას ჰქონდეს ფონური იერსახე და ისტორიული უბნისთვის შესაბამისი საფასადე გადაწყვეტა, რომელიც ხელს არ შეუშლის შორ ხედებზე გარეთუბნის ისტორიული ნაწილის აღქმას და ერთიანად არ ამოავსებს შენობებს შორის არსებულ სივრცით პაუზებს.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი